№ 2852
კვირა,
3 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2852
კვირა,
3 ივლისი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვაქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ოლღინის № 37.

საბოლოო ვაჭრობა

ამით ვაუწყებ ტფილისის მცხოვრებთ, რომ მე შევიძინე მაღაზია ამა ფირმისა: Депо готоваго платья В. I. Худавердянца (შეკერილ ტანისამოსის საწყობი ვ. ი. ხუდავერდიანცისა), გოლოვინის პროსპექტზე. 1-ლ გიმნაზიის პირდაპირ.

რადგან განზრახვა მაქვს სრულიად შევაჩერო ხუდავერდიანცის მიერ დაწყებული საქმე, ამა წლის **1-ლ ივლისიდან იწყება საბოლოო ვაჭრობა** და გაიყიდება ყველა საქონელი, რომელიც-კი მაღაზიაში არის, სახელდობრ: კაცის, ქალის და ბავშვის ტანთსაცმელი, ინგლისისა და რუსეთის ფაბრიკების ყოველგვარ მაუდის საქონელი ნახევარ ფასზე ნაკლებად. ფასის სიმცირეზე რეკლამა საჭირო აღარ არის: ყველას შეუძლია თითონვე დარწმუნდეს. ყოველ საქონელს

უკანასკნელი ფასი

ფერადის კარანდაშით აწერია და ვაჭრობა აღარ შეიძლება. ნარდით მყიდველებს განსაკუთრებით დაეთმობა. ისყიდება იქვე მაღაზიის მოწყობილობა.

ვაჭრობისათვის მაღაზია ღია იქნება დილის 8 საათიდან 2-მდე და ნაშუადღევის 3-დან საღამოს 8-მდე.

პატივისცემით **ნ. საფარიანცი.**

(5—2)

საბოლოო ვაჭრობა

წელიწადი მეორე

სანატორიუმი

4400 ფუტის სიმაღლე. საზაფხულო სამყოფი 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
პატარა-ცემში ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭამის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—17).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—48)

გორში
საქალაქო ბაღში,
კვირას, 3 ივლისს, გაიმართება „ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ
სეირნობა და ბაზარი.
(2—უ.—2)

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი"
(მეორე სახლი ფუნიკულიორიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილად მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მართველი კარელ ლემი.

რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანიძე.**
(15—244—15)

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვ. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—30) პატივის ცემით **ვანო.**

საპედაგოგიო საბჭო
ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—3)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—34)

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
ნ. ქ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილის 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდების ქ. № 26. (20—6.—19)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი [illegible]. (30—28)

კბილის ექიმი
იმანე ჰ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
1 ივლისი.

პეტერბურგი, 1 ივლისი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 30 ივნისის თარიღით: „გენ. ლიაპუნოვიდან მოხსენება მოვიდა 29 ივნისის თარიღით, რომ ერთ ჩვენს რაზმს 27—28 ივნისს, ღამით, ელანსა და ვლადიმიროვკას შორის, სახალინზე ბრძოლა ჰქონდა დიდძალ მტერთან და საქმე ხიშტებამდეც მივიდაო".

ლონდონი. [illegible]-ს ცნობით, კრეისერი, ალბად „დნეპრი", გამოჩნდა პროლის კონცხთან და აღმოსავლეთისკენ გაემართა.

ოისტერბეი, 1 ივლისი. რუზველტმა ბარონ როზენს კმაყოფილება განუცხადა ერთხელ კიდევ მასთან შეხვედრისათვის. როზენმა უპასუხა, რომ დიდს პატივს სცემს რუზველტს და შტატებს რუსეთიო.

სიტიაზა, 1 ივლისი. წინა პოზიციებზე სიჩუმეა. სიცხე ძლიერდება. წვიმები ვერ აგრილებენ. ჩრდილოში 29 გრადუსი სიცხეა რეომიურით.

ხარკოვი, 1 ივლისი. ცეცხლმა გადაბუგა მთელი სოფელი შვეიცარია, ხარკოვის გუბერნიაში. დაიწვა ასამდე შენობა, დაიღუპა ერთი მოხუცი კაცი. ზარალი [illegible].

სუმი, 1 ივლისი. მოვიდა გენ. სტრუკოვი გლეხების მოძრაობის მიზეზების გამოსაკვლევად.

იალტა, 1 ივლისი. ტუბერკულოზთან მებრძოლმა საზოგადოებამ სევასტოპოლში ჩეხოვის წლისთავზე, მისს სახსოვრად, ყირიმის სამხრეთის ნაპირზე, სიმეიზის ახლოს, გახსნა სამკურნალო პანსიონი და სანატორიუმი 23 უსახსრო ფილტვებით ავადმყოფთათვის, იკრიბება შემოწირულება ახალ სანატორიუმის ასაშენებლად მწერლის სახელზე.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 1 ივლისი. მუშაობა ახლდება. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

სამარა, 30 ივნისი. ალექსანდროვკის მოედანზე ბოქაულის თანაშემწეს ესროლეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ავნეს. მსროლელი დაიჭირეს.

დმიტროვსკი, 30 ივლისი. დოლბენის მამულების საქმის შესახებ პირველ სხდომის დროს შეეკითხნენ მხოლოდ 7 მოწმეს 127-დან. ჩვენებამ აღმოაჩინა, გლეხების უკმაყოფილების მიზეზი ხშირი ჯარიმები ყოფილა, რასაც მოურავები ადებენ თურმე მათ. მოწმეების გამოკითხვამ რამდენსამე დღეს გასტანა.

ალექსანდროვსკი, 1 ივლისი. მაზრაში მიდიან დეპუტატები და ბევრი კერძო პირი სიონისტების დიდს სიეზდში მონაწილეობის მისაღებად.

ბელოსტოკი, 1 ივლისი. მუშაობა დაიწყო, ქალაქში სიმშვიდეა.

ლონდონი, 1 ივლისი. როცა ბალფურს შეეკითხნენ ჰააგის მეორე კონფერენციის შესახებ, მან უპასუხა, რომ მთავრობა თანახმაა რუზველტის წინადადებაზე, მაგრამ ამასთან ის შენიშნავს, რა საკითხები უნდა გაირჩეს კონფერენციაზედ. უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკება არ მომხდარა.

გეფლე, 1 ივლისი. გუშინ საღამოს, იახტა „ჰოჰენცოლერნ"-ზე სადილი გაუმართავს მეფე ოსკარს. დღეს მეფის იახტაზე საუზმე იყო ვილჰელმის პატივსაცემად. ამის შემდეგ მეფე და კრონ-პრინცი სტოკჰოლმში წავიდნენ.

პეტერბურგი, 1 ივლისი. ლენქორანში საეჭვო ავადმყოფი ხოლერით არ ყოფილა [illegible]. 23 ივნისის „ბირჟ. ვედომოსტებ"-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც კავკასიის გზაზე მატარებელში ავად გამხდარიყოს ხოლერით ვინმე, არ მტკიცდება ოფიციალურად. ივნისის დასაწყისში ადესაში ორი შემთხვევა იყო მენინგიტისა და ორივე სიკვდილით გათავდა.

ვენა, 1 ივლისი. კეთილშობილთა პალატამ მიიღო სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან და კანონ-პროექტი, რომელიც მიანდობს მთავრობას დროებით მოაწესრიგოს განწყობილება შვეიცარიასა და ბულგარიასთან.

პეტერბურგი, 1 ივლისი. რუსეთმა საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო კავშირის შეკრების თაობაზე დანიშნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ტიმირიაზევი, სამრეწველო განყოფილების უფროსი ლანგოვოი, საბაჟო დეპარტამენტის დირექტორი ბელიუსტინი, დვინის მთავრის საქმის ინსპექტორი მარტინოვი, მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრი პოლენოვი, მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი მასალსკი, წევრი საქმეთა საბჭოსი ბერტენსონი, გარეშე საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტის დირექტორი ბენტკოვსკი და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ტუბე.

პეტერბურგი, 1 ივლისი. ოფიციალური. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია, რომ უკვე გამოაშკარავებულს გარდა ლოძში კიდევ 5-დან 12 ივნისამდე 151 კაცი მოუკლავთ და 185 დაუჭრიათ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
1 ივლისი

ბერლინი, 30 ივნისი. „კელნ. გაზეთ"-ი ვიტტეს დანიშვნას მშვიდობიანად ეხება და ამბობს, რომ ეს აქარწყლებს იმ ეჭვს, ვითომც რუსეთი სერიოზულად არ ეკიდებოდეს რუსეთისა და იაპონიის მომავალ მუშაობას. ვიტტე, რომ არ იყვის დარწმუნებული, რომ კონფერენციას პრაქტიკული შედეგი მოჰყვება, უარს იტყოდა მონაწილეობის მიღებაზეო.—ვიტტეს დანიშვნას აქაური წრეები ცხოველის გრძნობით მიეგებნენ.

ტოკიო, 30 ივნისი. 27 ივნისს მიკადომ გულითადათ დაწერილი წერილი გაუგზავნა მეფე ედუარდს და მადლობა გადაუხადა პრინც არისუგავას ისეთ გულმხურვალედ მიღებისათვის. პეკინის კორესპონდენტს გაუგია, რომ რუსეთის არმიის კაპიტანს კაზაკოვს განზრახვა აქვს ლხასისკენ დასძრას რუსის ჯარებიო.

ტოკიო, 30 ივნისი. იაპონიის საიმპერატორო საგვარეულომ ხელი მოაწერა კორეის გარეშე სესხის ნახევარზე.

მარსელი, 1 ივლისი. აქ ცნობა მოვიდა, იაპონელები, მიუხედავად ჩინეთის პროტესტისა, ძალით არ უშვებენ მანდარინებს მოკრიბონ გადასახადი ტელინისა, ტონკიონისა და მუკდენის მიდამოებში.

ბათუმი, 1 ივლისი. გაფიცვა გათავდა. ქალაქში სიწყნარეა.

პეტერბურგი. რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, ადესასთან წესიერი მიმოსვლა გაიხსნა და მიიღებენ აგრეთვე ტვირთს, ადესასა და ნიკოლაევზე გასაგზავნს.

ადესა, 1 ივლისი. ქალაქის თავმა წინადადება წარუდგინა საბჭოს 3 ათასი სადილი გადაიდოს ღარიბებისათვის და 4 ათასი საზოგადო საქმეების ორგანიზაციისათვის.—გაიხსნა ტვირთვისათვის სადგური ადეს-პორტი.—დაზარალებული ვაჭრები უცხოეთისა შუამდგომლობენ საკონსულოებში, შემწეობა გაგვიწიეთ, რათა რუსეთის მთავრობამ გვიზღოს პორტში ცეცხლის მიერ მოყენებული ზარალიო.

ბელგოროდი, 1 ივლისი. არ დამტკიცდა „პეტ. სააგენტო"-ს ცნობა ბელგოროდის მაზრაში მოძრაობის შესახებ. ქალაქის ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს.

სიმფეროპოლი, 1 ივლისი. „პეტ. სააგენტო"-ს ცნობა, ვითომ გუბერნატორი შუამდგომლობდეს გაძლიერებულ დაცვის მოხსნას ტავრიდის გუბერნიაში, ტყუილია. შუამდგომლობენ ქალაქები და ერობები და არა გუბერნატორი.

იალტა. სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით, აიკრძალა საერთო მასწავლებლების კურსები და აგრეთვე ყოველგვარი სიეზდები მასწავლებლებისა.

აჯიკენტი, 1 ივლისი. შუშაში დაეცნენ მოხელეს, რომელმაც ფოსტიდან ფული გამოიტანა ხაზინისათვის. წაიღეს 40 ათას მანეთზე მეტი.

ლონდონი, 1 ივლისი. ბალფურს სასტიკი პროტესტი განუცხადა პარლამენტმა და პრესამ იმისთვის, რომ მან უარ-ჰყო მთავრობის კანონ-პროექტი უსაქმოდ დარჩენილ მიწებისათვის სამუშაოს დარიგების შესახებ. მუშების ინტერესების წარმომადგენელნი ემუქრებიან მთავრობას, უწინასწარმეტყველებენ არეულობასა და უთითებენ იმაზე, რომ მანჩესტერსა და ლეისტერში უსაქმოდ დარჩენილი მუშები უკვე იღებენ ზომებს, რათა მათი ცოლ-შვილი ღარიბთა თავშესაფრებში მოათავსონ და ამით საშუალება მიიპოვონ, უფრო თავისუფლად იმოქმედონ ზამთარში. მომავალ ორშაბათს გაიმართება დიდი დემონსტრაცია უხელ-საქმოდ დარჩენილ მუშა-ქალებისა. ქალების დეპუტატები წარუდგებიან ბალფურს და მოსთხოვენ კანონ-პროექტის მიღებას. თითქმის მილიონამდე ღარიბი სადილობს მთავრობის ხარჯზე.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლის ველზე. რუსის ჯარის მთავარსარდალი ლინევიჩი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ გაიგოს იაპონიის ჯარის ნამდვილი განაწილება, მაგრამ აქამდე ვერას გახდა. ორჯელ თვითონ ლინევიჩი წავიდა თავის შტაბით სამხრეთისაკენ შეპინგაიმდე, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. იაპონელები მეტად ხერხიანად მალავენ თავიანთ მთავარ ძალებს. მარშალი ოიამა თანდათან წინ მოდის. იაპონიის რაზმებმა დაიკავეს ორი პუნქტი 30 ვერსტის მანძილზე იენ-ჩენზის ჩრდილოეთ-დასავლეთით. („დ. ტ.").

„მორნ. პოსტ"-ის სიტყვით, იაპონელები შეუჩერებლად მიდიან ვლადივოსტოკისაკენ და ბრძოლა მდ. ტუმენზე აუცილებელი ხდებაო.

ხაილუნჩენთან მანძილი რუსებსა და იაპონელებ შორის სულ 46 ვერსტია. რუსები ეხლა ყოველ ღონეს ღონობენ ვლადივოსტოკის გასამაგრებლად. ზღვა ვლადივოსტოკის ირგვლივ ნაღმებით არის სავსე 7 მილის მანძილზე, კუნძული ნავთ-სადგურის შესავალში ძალიან არის გამაგრებული. ყოველი სიმაგრე—ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა. ზარბაზნები ათასამდეა და ყველა ხერხიანად დაფარული. პორტ-არტურის გაკვეთილს ტყუილად არ ჩაუვლია. ვლადივოსტოკის გარნიზონი შესდგება 50 ათას კაცისაგან. თუმცა ვლადივოსტოკში არ არის ისეთი ძლიერი სტრატეგიული პოზიციები, როგორც ლიაოდუნის სიმაგრე იყო, მაგრამ მაინც შეიძლება დიდის წინააღმდეგობის გაწევაო.

პორტ-არტურზე სწერდნენ—მიუვალი ციხეა და იაპონელები ვერას გახდებიანო, ეხლა კიდევ უფრო თავდაჭერილია. ჩანს, მართლა არ ჩაუვლია ტყუილად პორტ-არტურის გაკვეთილს.

ზავი. გაზეთ „ფოსიშე ცაიტუნგს" სწერენ პეტერბურგიდან: უკანასკნელად მომხდარ ამბების (რუსეთის შინაურ ცხოვრებაში) მიზეზით ზავის მომხრეებმა საბოლოოდ გაიმარჯვესო. ვიტტე და ლამსდორფი დიდი ხანია იმ აზრისანი იყვნენ, რომ შეუძლებელია ომის განგრძობა რუსეთის შინაური ცხოვრების ამბების გამოო. ეხლა ამ აზრს სხვებიც მიემხრნენ და, სანდო წყაროების მიხედვით, რუსეთი არ გაძალიანდება არც სატერიტორიო კითხვაში და არც კონტრიბუციის გადახდაშიო.

მეორე მხრივ სულ სხვას გვეუბნება ერთი გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე: არა გვაქვს ნამდვილი საბუთი, რომ სერიოზული იმედი ვიქონიოთ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებისა. რუსეთის პასუხი რუზველტის წინადადებაზე უფრო ზრდილობიანი ფრაზებია, სერიოზული განზრახვა კი არა ჩანს. ჩვენ აქ კარგად ვიცით, რომ სამხედრო პარტია არავითარ ღონისძიებას არ ზოგავს, ხელი შეუშალოს „არა საკადრისს" ზავს; „არა-საკადრისად" კი ამ პარტიას მიაჩნია ყოველი ზავი, რომელიც კი იაპონიის გამარჯვების დამამოწმებელი იქნება. იაპონელები დარწმუნებული არიან, რომ რუსები ისარგებლებენ დროებით შერიგებით და გააძლიერებენ ლინევიჩის ჯარს. ეხლა კი ლინევიჩის მდგომარეობას ვერა უშველის-რა. იაპონია თვითონ სცდილობს გამონახოს ზავის ისეთი ფორმა, რომ მშვიდობიანობა მტკიცე იქნეს. იაპონიას განზრახვა არა აქვს დამამცირებელი პირობები მოითხოვოს რუსეთისაგან. მაგრამ იაპონელებს სურთ ფაქტებით დაარწმუნონ რუსები, რომ მათი იმედი ჯარზე ყოვლად უსაფუძვლოა, ისე, როგორც უსაფუძვლო იყო იმედის დამყარება ფლოტზე. რუზველტი იმ აზრის არის, რომ რაკი მოლაპარაკება გაიმართება ზავზე, საშინელება იქნებოდა ახალი ბრძოლა და სისხლის ღვრა; იაპონელები კი ჰფიქრობენ, რომ ახალი ბრძოლა უსარგებლო არ იქნება—იგი უფრო დააჩქარებს ზავის ჩამოგდებასო".

ს. ვიტტეს დანიშვნა თითქმის უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამერიკელის იმ შეხედულებას, რომ სამხედრო პარტიას შეუძლია თავისი გაიტანოსო. შავი ზღვის ფლოტის აჯანყება, ლიბავის მეზღვაურების გაფიცვა, ლოძის, ვარშავის, ივანოვო-ვოზნესენსკის და სხვა მრავალ ადგილთა ამბები არა ნაკლებ სამხედრო დამარცხებისა უნდა მოქმედებდნენ პეტერბურგის გავლენიან წრეებზე.

* * *

თანამედროვე მდგომარეობა

მარტო ყოველდღიურ დეპეშების კითხვა დაგვარწმუნებთ, რომ რუსეთის შინაური მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება. აღარ დარჩა ადგილი, სადაც ეგრედ წოდებულს რეაქციონერთა ენაზე „შფოთს" ღრმად არ გაედგას ფესვები; აღარ დარჩა წოდება, დაწესებულება, ნაწილი ხალხისა, უწყება, რომელიც ნორმალურად ცხოვრებდეს ან მოღვაწეობდეს. „თვით ჯარიო, გაიძახის გაზ. „მოსკოვ. ვედომ.",—ჯარი, რომელიც დღემდის შეურყეველ დამცველად ითვლებოდა აწმყოსი, შერყეულა და შფოთში შეუტოპავს თავი"... მდგომარეობა მართლა ძნელია და რუსული გაზეთები, რუსეთის საზოგადოება, გულის ფანცქალით იკვლევენ კრიზისს და ეძებენ განმკურნებელ ღონისძიებას.

რუსეთის საზოგადოება და მისი პრესსა ამ მხრით ეხლაც ორ მთავარ ბანაკად არიან განაწილებულნი: ერთი ნაწილი წინ ეწევა რუსეთს და პროგრესიულ გზას უჩვენებს, მეორე—უკან იხევა და ძველს სახელმწიფური მოღვაწეობა მიაჩნია რუსეთის კრიზისის უებარ საშუალებად. ამ ორ ბანაკს შუა დასკუპდა ბევრი „ცენტრალური ჯგუფი", რომელთაც თვითონაც ვერ გაუგიათ, როგორც რიგია, რა ჰსურთ. „ძველიც დარჩეს, მაგრამ ახალიც იყოსო",—აი, მათი სალოცავი დევიზი! ბიუროკრატია შესუსტდეს, ხალხის წარმომადგენლობა დაარსდეს, მაგრამ ხალხის წარმომადგენლობას კანონმდებლობის უფლება ნუ ექნებაო... ბევრი დაკვირვება არ უნდა, რომ გაიგო, რა ფასი აქვს ამ „ცენტრალურ ჯგუფების" კომპრომისებს. მათ ვერ გაუგიათ, რა დრო დადგა, რა საშინლად დახლართა ცხოვრება; ვერ გაუგიათ, რომ დღეს ყოვლად შეუძლებელია ბუნდოვან სლავიანოფილურ თეორიაზე აღმოცენებულ ღონისძიებით განიკურნოს რუსეთის წყლული,—განიკურნოს მრავალწლობით უყურადღებოდ დატოვებული იარა... ამიტომ ამათ უსაფუძვლო ლაღადს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს: ისეთს კრიზისების დროს, როცა ორ სრულიად საწინააღმდეგო პრინციპებს შორის ბრძოლაა შეუბრალებელი, შუა ჯგუფები გამოიქყლიტებიან; გაისრესებიან ყველა ეს შიპოვები, რომელნიც შიშს შეუპყრია და უთუოდ კომპრომისს ეძებენ, რათა გრიგალმა რაც შეიძლება ნაკლებ დააზიანოს მათი საკუთარი ინტერესები... ახლო მომავალში გამარჯვება ამ შუა ჯგუფებს არ ერგება; პირიქით, გაიმარჯვებს ერთ-ერთი იმ ორ მებრძოლ ბანაკიდან, რომელნიც სავსებით იცავენ ან ახალს ან ძველს, რომლებისთვის თითქმის არ არსებობს არავითარი კომპრომისი... ამ დღეებში ორმავე ბანაკმა პრესსაში გაიმეორა თავისი მისწრაფებანი და ორივემ იმდენად მკაფიოდ გამოხატა თავისი desiderata, რომ საჭიროდ მიგვაჩნია გავახსენოთ ჩვენ მკითხველებს.

რეაქციონერთა პლატფორმა გამოაქვეყნა გრინგმუტის გაზეთმა („მოსკოვ. ვედ.") და ასეთ რეცეპტს გვიწერს:

როგორ უნდა გვიხსნათ რუსეთი დღევანდელ გაჭირვებისაგან? უნდა მოვსპოთ „შფოთი", „კრამოლა", თორემ ისე საქმეს ვერ ვუშველით. საკვირველია, რომ დღემდის „წესრიგის გაძლიერებული დაცვა" ყველგან არ არის შემოღებული, მთელს რუსეთში არ მოქმედობს, საქმეები ისე აირია, რომ ეხლა გაძლიერებული დაცვის წესდებაც ვეღარაფერს უშველის, ეხლა საჭიროა საგანგებო სამხედრო ღონისძიებანი, რადგან მხოლოდ ამათ შეუძლიათ „კრამოლის" აღმოფხვრა ძირიან-ფესვიანად. თუ დღევანდელი შფოთი არ იქმნა მოსპობილი, ისე სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენი იმპერია, მისი სახელმწიფური წესწყობილება საღია, მხოლოდ ეხლა დროებით აღშფოთდა, აირიგ-დაირია ყველაფერი ბოროტმოქმედთა ინტრიგების წყალობით. მოისპოს სასტიკის ზომებით ეს „კრამოლა", ბოროტმოქმედთა მოდგმა და რუსეთი კვლავ წინანდებურად აღყვავდება და გაძლიერდება...

ასე სჯის და ასეთ ღონისძიებას გვიქადაგებს ერთი მებრძოლი ბანაკი,—ის ბანაკი, რომელიც ძველის დაბრუნებაზე ოცნებობს. მეორე მებრძოლი ნაწილი რუსის საზოგადოებისა ამავე საგანზე ასე მსჯელობს:

დღევანდელმა ცხოვრებამ ნათლად დაამტკიცა და უეჭველად ამტკიცებს, რომ ბიუროკრატიას არ ძალუძს ქვეყნის დამშვიდება. მიუხედავად იმისა, რომ გაშმაგებით იბრძვის, რაც ძალი და ღონე აქვს, ყველა საამოძრავ, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ სისხლის ღვრის მეტი არაფერი გამოდის. სასტიკობის გაძლიერების საქმეები უფრო მწვავდება და სახელმწიფო უფრო უფსკრულში ვარდება. რუსეთის ხსნა ერთად ერთი გზით შეიძლება: დაუყონებლივ დამყარდეს ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა; შფოთიც მაშინ დასრულდება, ქვეყანაც მოისვენებს და გაძლიერდება...

აი, ამ ორ, ერთი მეორის საწინააღმდეგო, აზრსა და მიმართულებას აქვს დღეს გამწარებული ბრძოლა და ახლო მომავალში უთუოდ გაიმარჯვებს ის, რომელიც წინ მიიწევა, რომელიც ახალ ცხოვრებას გვიჩვენებს და არა ის, რომელიც უკვე დაჟანგებულსა და დახავსებულს იარაღს იღებს ძველ არსენალიდან. მაგრამ ეს ცოტაა, რომ გაიმარჯვებს, ამაში არავინ არ ეჭვობს; საქმე ისაა, რომ გაიმარჯვებს სავსებით, უკომპრომისოდ, გაიმარჯვებს იმ სახით, როგორიც ერის საუკეთესო ელემენტების სურვილს შეადგენს და არა ისე, როგორც ბიუროკრატების კომისია-კომიტეტებს უნებებიათ...

ამას გვეუბნება, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბრძოლა დღითი დღე ძლიერდება.

გ.

კაუტსკის აზრი პატრიოტიზმის შესახებ

საფრანგეთის სოციალისტთა შორის აღძრულ პოლემიკას ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ დიდი თეორეტიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კამათია აღძრული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიმარტოს ის აზრი, რომელიც, სხვათა შორის, გამოთქმულია მარქსისა და ენგელსის ცნობილ მანიფესტში შემდეგის სიტყვებით: „მუშებს სამშობლო არა აქვთ, და ვერც წაართმევენ მათ იმას, რაც არა აქვთ. პროლეტარიატმა უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ბატონობა, აღიმაღლოს თავისი თავი ნაციონალურ კლასის მდგომარეობამდე და თვითონ შეადგინოს ნაცია; ამით ისიც ნაციონალურია მხოლოდ სულ სხვა აზრით, ვიდრე ბურჟუაზია". ერვიე დამყარებულია ამ აზრის პირველ ნახევარზე და სრულიად უარჰყოფს „სამშობლოს" შემეცნებას. ჟორესი კი, პირიქით, გარეშე მტერთან ომის დროს სდგას სამშობლოს ინტერესების ნიადაგზე.

კაუტსკის სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ, და იმანაც რბილად, მაგრამ გარკვეულად დაიჭირა ჟორესის მხარე. იმის აზრით, ყოველ პირობაში ბოლომდის განხორციელებული ანტიპატრიოტიზმი უფრო ანარქიული შეხედულებაა, ვიდრე სოციალისტური. ასეთი ანტიპატრიოტიზმი წარმოსდგება წარმოების წვრილ ბურჟუაზიულ წესისაგან, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მჩაგვრელობას, ხოლო შემოქმედებითს ძალას კი მოკლებულია. პროლეტარიატის ბრძოლა კი მარტო ექსპლოატაციასა და თვითნებობასთან ბრძოლას არ წარმოადგენს. იგია ბრძოლა წარმოების ახალ წესისთვის, ესე იგი ახალ საზოგადოებრივ ფორმისთვის, რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება მჩაგვრელობა და ექსპლოატაცია. ეს ახალი ფორმა წარმოშობს ახალ ეთიკას. ბურჟუაზიის მიერ შექმნილი თანამედროვე სამშობლოს იდეალი, მამულის სიყვარული პროლეტარიატისთვის, რასაკვირველია, სავალდებულო არ არის. მფლობელ კლასებისთვის „მამული" (отечество) ქონებაა, რომელზედაც ისინი ბატონობენ; მათ ეს „მამული" თავის მონოპოლიად გაუხდიათ და თანასწორად იცავენ ამ მონოპოლიას როგორც უცხო კაპიტალისტებისა, ისე თავის საკუთარი პროლეტარიატისაგან. ამიტომ ისინი ყველაზე მაღლა აყენებენ „სამშობლოს". ასეთის სამშობლოს პროლეტარები გულგრილად უყურებენ, რადგან იქიდან ისინი გამორიცხულნი არიან. კაუტსკის მოჰყავს ციტატა ტიბერი გრაკხის ერთის სიტყვიდან: „რა მწარე დაცინვაა ჯარის უფროსებისაგან ხალხის საბრძოლველად მოწვევა საოჯახო ღმერთებისა და წინაპართა საფლავებისთვის (ე. ი. „სამშობლოსათვის")! აბა რომელ სალდათსა აქვს საოჯახო საფლავი და საკუთარი საოჯახო საკურთხეველი? ისინი ატარებენ ხმალს და იღუპებიან ბრძოლის ველზე მხოლოდ იმისთვის, რომ სხვებს მოუპოვონ სიმდიდრე, ფუფუნება და სახელი. იმათ დაიპყრეს მთელი ქვეყანა, იმის პატრონებად ითვლებიან და თვითონ ერთი მტკაველი მიწაც არა აქვთ".

მაგრამ პროლეტარებს, როგორც ვსთქვით, უნდათ თანამედროვე სახელმწიფო, ეს ბატონობისა და ექსპლოატაციის ორგანიზაცია, გადააქციონ საზოგადოებრივ წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციად. ამიტომ თუმცა მათ ჯერ არა აქვთ „მამული", მაგრამ უნდათ ბრძოლით მოიპოვონ იგი, გაანთავისუფლონ იგი როგორც უცხო, აგრეთვე შინაურ ექსპლოატატორებისა და მტარვალებისაგან. ამ აზრით, ასე თუ შევხედავთ, პროლეტარიატი ნაციონალურია და ძალიანაც დაინტერესებულია თავის სამშობლოს დამოუკიდებლობასა და აყვავებაში. მარქსი და ენგელსი,—ამბობს კაუტსკი,—ამმხრივ ისე შორს მიდიოდნენ, რომ გერმანიის პატრიოტები გვგონებოდათ, რომ 1870 წ. საფრანგეთის რესპუბლიკის მხარე არ დაეჭირათ იმპერატორულ გერმანიის წინააღმდეგ.

მაგრამ სოციალიზმის საბოლოო აზრი ინტერნაციონალური სოციალისტური საზოგადოებაა. თანამედროვე ვაჭრობამ წარმოშობა მსოფლიო ბაზარი. ამიტომ სოციალისტებიც, ცხადია, უნდა სცდილობდნენ შექმნან საზოგადო წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეესაბამება ამ მსოფლიო ბაზარს, ე. ი. მსოფლიო ორგანიზაცია. ასე თუ შევხედავთ საქმეს, ის მთელი, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს კერძო პირი, არის არა „მამული" ანუ ნაცია, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობა. ბურჟუაზიულ ინტერნაციონალიზმისაგან არსებითად განსხვავდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმი: პირველი ნებას აძლევს ყოველს ნაციას მოიქცეს ისე, როგორც მას უნდა, ოღონდ სხვა ნაციის ინტერესებს არ შეეხოს; მეორე კი თხოულობს ყველა ნაციისაგან, ისე როგორც ინდივიდუუმისაგან, საერთო შეთანხმებულ მოქმედებას და ამისდაგვარად იგი აერთებს ცალკე ნაციების პროლეტარულ ორგანიზაციებს. ამნაირად, ნაციის ინტერესები უნდა დაექვემდებაროს პროლეტარიატის საერთაშორისო განმათავისუფლებელ ბრძოლას. იქ, სადაც ამ ბრძოლას გადაეღობება რომელიმე ეროვნული ინტერესი, სოციალდემოკრატმა უნდა გამოიჩინოს საკმაო შეგნება და მოქალაქობრივი სიმამაცე, რომ შეებრძოლოს ასეთს მოვლენას.

ასეთს პოზიციას იცავს კაუტსკი; პატრიოტიზმი არ არის აბსოლიუტიური რამე, მისი შინაარსი დემოკრატიული სინამდვილის ამა თუ იმ პირობებისაგან. კაუტსკის თვალთახედვით, ცხადია, ნაციონალიზმი კანონიერია კულტურულად მაღლა მდგომ ქვეყნის პროლეტარიატისათვის, როცა ამ დაწინაურებულ ერს შეტაკება მოუხდება ჩამორჩენილ ერთან. ამ უკანასკნელის პროლეტარიატი კი ამ შემთხვევაში უნდა დადგეს დაახლოვებით ერვიეს აზრზე. („ნ. ქ.").

მეხუთე კონგრესი საპროფესიონალო კავშირებისა გერმანიაში.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ამას წინად ქალ. კელნში მოხდა კონგრესი გერმანიის საპროფესიონალო კავშირებისა. ეს კონგრესი მეტად საინტერესოა, რადგან იგი გამომსახველია მთელ პროფესიონალურ მოძრაობისა გერმანიაში. იმ დროს, როცა საფრანგეთის სინდიკალიზმი უფრო და უფრო რადიკალდება, გერმანიის საპროფესიონალო კავშირები მარტო „ეკონომიურ" ბრძოლას მისდევენ. მკითხველს არ ეგონოს, ვითომ ეს „ეკონომიური" ბრძოლა ეკონომიურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ იყოს მიმართული. პირიქით, იმ დროს, როცა საფრანგეთის სინდიკატებს თავის მოქმედების აზრად დაუსახავთ გაუქმება დაქირავებულ შრომის სისტემისა, გერმანიის საპროფესიონალო კავშირები ვერ გასცილებიან „კაპეიკისათვის ბრძოლას".

მით უმეტეს საყურადღებოა ამ „მეწვრილმანეთა" გაცნობა და იმის გაგება, თუ რამდენად იზრდებიან და კავშირდებიან. ამ კავშირთა პირველ კონგრესზე იყო წარმოდგენილი მხოლოდ 300.000 მუშა, ეხლა კი 1.252.000 შეკავშირებულ მუშის წარმომადგენელი გამოცხადდა. 1891 წელს კავშირთა შემოსავალი თვითეული წევრისა, საშუალო რიცხვით 1 მანეთს და 81 კაპ. უდრიდა, 1903 წელს კი იგი ავიდა 8 მ. და 32 კაპ.-მდე. კასსის თანხა 1891 წელს უდრიდა 191.2500 მ., ესე იგი, 69 კაპ. თვითეულ წევრზე; 1903 წელს კი იგი უდრიდა უკვე 7.249.054 მანეთს, ანუ 6 მან. და 57 კაპ. თვითეულ წევრზე.

როგორც ხედავს მკითხველი, ამ კავშირთა ორგანიზაცია თანდათან იზრდება და ძლიერდება. მაგრამ რისთვის?—„მეწვრილმანეობისათვის!" აი ერთად-ერთი პასუხი.

ეს „მეწვრილმანეობა" ნათლად გამოისახა კელნის კონგრესზე. სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა: როგორ უნდა გადასწყდეს შრომისა და კაპიტალ შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი. პირველად მოხსენება წაიკითხა უმბრაიტმა, სოციალ-დემოკრატიის რადიკალურ ფრაქციის წარმომადგენელმა. იგი ამტკიცებდა თავის მოხსენებაში, რომ საუკეთესო იქნება შესდგეს ორგანიზაცია შრომის კამერებისა მუშათა და კაპიტალისტთა წარმომადგენელთაგან, ორგანიზაცია საერთო, ცენტრალური. ამას წინააღუდგა რევიზიონისტი გიუე, რომელიც ამტკიცებდა მუშათა კამერების ორგანიზაციის საჭიროებას. ეს ორგანიზაცია უნდა იყოს, იმის აზრით, ისეთის ტიპისა, როგორსაც წარმოადგენს კანონისაგან დამტკიცებული სავაჭრო კამერა: ეს სავაჭრო კამერა შედგენილია ვაჭრების წარმომადგენლთაგან, ამის მსგავსად უნდა მოეწყოს შრომის კამერა, შედგენილი მუშების წარმომადგენელთაგან. კამათიდან სჩანდა, რომ კონგრესის არც ერთ მხარეს ეს საკითხი [illegible] პრინციპიალურად, მაგრამ მიუხედავად ამისა გიუეს წინადადება გავიდა დიდი უმრავლესობით. ეს იყო მხოლოდ პრელიუდია: ნამდვილი შეტაკება შემდეგ მოხდა; იგი შეეხებოდა საერთო პოლიტიკურ გაფიცვას...

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატები გულგრილად უყურებდნენ საერთო გაფიცვას და საერთო გაფიცვის იდეას. ამ ბოლო ხანებში ამ იდეამ რადიკალ სოციალ-დემოკრატებს შორის იჩინა თავი და მიიღო სახელწოდება საერთო პოლიტიკურ გაფიცვისა. ყოვლის უწინარეს იგი გამოირკვია კარლო კაუტსკიმ. რუსის გაფიცვის შემდეგ ამ იდეამ უფრო კონკრეტული ფორმა მიიღო, და იმავე კაუტსკიმ ეს საკითხი დააყენა უფრო კონკრეტულ ნიადაგზე. კაუტსკის მიჰყვნენ სხვა რადიკალ-მარქსისტებიც, და ეხლა თითქმის ყველა მხრის რადიკალ-სოციალ-დემოკრატები ავრცელებენ პოლიტიკურ გაფიცვის იდეას.

როგორიც უნდა იყოს ეს საკითხი თავისთავად, იგი კელნის კონგრესზე საპროფესიონალო კავშირებს, რასაკვირველია, „უტოპიად" მოეჩვენებოდათ... და მართლაც, კონგრესმა ეს საკითხი უარყოფით გადასწყვიტა. ამ საქმის მომხსენებლად გამოვიდა ბემელბურგი. იგი ამბობდა: ამდენი შრომის შემდეგ ძლივს ძლივობით განვამტკიცეთ საპროფესიონალო კავშირები და ეხლა გამოდიან ვილაცები, რომ ხელი შეგვიშალონ. „მომავალ განვითარებისათვის—ამტკიცებდა იგი—ჩვენთვის საჭიროა მშვიდობიანობა, მაგრამ აქ სჩნდებიან ლიტერატორები და სწერენ და სწერენ... რაც უნდა აკეთონ ლიტერატორებმა, ისინი მუშათა კლასს სამსახურს ვერ გაუწევენ (ეს სიტყვები მოიწონეს დელეგატებმა). ვინც უბრალო გულით ლაპარაკობს ხალხის პოლიტიკურ გაფიცვის გამოყენებაზე, იმას არაფერი ესმის მუშათა პრაქტიკულ მოძრაობის საქმისა (ნამდვილია!) და ასე ამნაირად! მომხსენებელი იმ აზრისაა, ვითომ შეიძლებოდეს სოციალიზმის განხორციელება ამგვარ „წვრიმალ" მოძრაობით, და ასეთი „მეწვრილმანეობა" ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს. ამ „მეწვრილმანეს" მთელი კონგრესი ტაშით და ვაშას ძახილით აჯილდოებდა.

ამის შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რომ იმისი რეზოლიუცია, რომელიც პირდაპირ უარჰყოფდა პოლიტიკურ გაფიცვას, თითქმის ერთხმად იქმნა მიღებული. არა თუ უარჰყვეს პოლიტიკური გაფიცვა, უარჰყვეს აგრეთვე თვით პროპაგანდა პოლიტიკურ გაფიცვის იდეისა, და ეს მუხლი იქმნა მიღებული აბსოლიუტ უმრავლესობის მიერ, წინააღმდეგ მხოლოდ 30 დელეგატისა! კონგრესმა ესეც არ იკმარა, და რომ თავის გამარჯვება დაესრულებინა, შეიტანა რეზოლიუცია პირველ მაისის დღეობის შესახებ. შეიტანა რეზოლიუცია, მაგრამ როგორი? დამამცირებელი მუშათა მოძრაობისა! რათა ყველას შესძლება მიეცეს მიიღოს მონაწილეობა დღეობაში, ამისათვის საჭიროა დღეობა გადატანილ იქმნას საღამოსათვისაო,—ამბობდა რეზოლიუცია. რას ნიშნავს ეს? საღამოობით ისედაც არ არის მუშაობა, და აბა როგორი დემონსტრატიული დღეობა გამოვიდოდა მუშათა კლასისა პირველ მაისს!! ამ რეზოლიუციას

ფელეტონი

პატარა ამბები

კიდევ დარაჯებს.—ცხოვრება ბრძოლაა უფლებისათვის.—ისტორიული მაგალითები.—ჩვენში რა ამბავია?

მშვენივრად დაიწერება დღევანდელი ფელეტონი. კარგი სურათი კარგს აზრებს გამოიწვევს, გონებას გამოაფხიზლებს და შესაფერს საზრდოს მოაწოდებს...

ღვთის წყალობით, ზრუნვა არ გვაკლია ყველაფერი, რაც კეთდება, ჩვენი სულის საცხონებლადაა. ჩვენც თუ რამ შევიწროვება და მწუხარება მოგვივა, ეს აუცილებლივ ჩვენდამი სიყვარულისა და გულმტკივნეულობისაგან იქნება გამოწვეული. გვებრალებით, გვეცოდებით, ვერ გვიმეტებენ, რომ უპატრონოდ დაგვტოვონ: თავს ვერ მოუვლით, სიმშილით დაიხოცებით, ცეცხლში ჩაიწვებით, წყალში გადავარდებით.

განა ბიუროკრატებს ის არ აწუხებთ, რომ ჩვენ არ დავისაჯოთ? ბიუროკრატია ცდილობს, რომ ჩვენ, მაგალითად, სატუსაღოში არ ჩავსხდეთ. ამიტომაც სულ იმის მეცადინეობაშია, რომ ყოველისავე არა-საიმედო და არა-სასიამოვნო, არა საპოლიციო და საბიუროკრატო ფიქრებისა და საქმეებისაგან გაგვწმინდოს...

ბიუროკრატიის დანიშნულება და საგანი ხალხის ბედნიერებაა. ამ ბედნიერებისათვის ბიუროკრატია ართმევს ხალხს სამართალს, უსპობს თავისუფლებას, უხუთავს სულს... ხალხს არ ესმის თავისი ბედნიერება და ბიუროკრატია იმიტომაა დანიშნული, რომ ხალხს შეაგნებინოს ბედნიერება. ხალხი ბრიყვია და რადგან სათნებო აზრებს მისდევს, ბიუროკრატიამ უნდა „მოაწყვიანოს" ხალხი და „ჭეშმარიტ" გზაზე დააყენოს. ხალხს არ უნდა მორჩილება და მონობა, ბიუროკრატიამ უნდა მოარჯულოს ხალხი და შეაყვაროს მას ერთიც და მეორეც. ხალხს რაღაც თავისუფლება სწადია, ბიუროკრატიამ უნდა აუხსნას მას, რომ დედამიწაზე თავისუფლება არ არსებობს ნამდვილად, თავისუფლება მხოლოდ სიტყვაა, მავნე ადამიანებისაგან გამოგონილი... ხალხს უნდა სამართალი, ბიუროკრატიამ უნდა განუმარტოს მას, რომ სამართალი არის იგივე პოლიცია; ხალხი იძახის, მშიაო, ბიუროკრატიამ უნდა მიიღოს ზომები და დაარწმუნოს ხალხი, რომ მას აქვს სრული უფლება სიმშილისა, ეს აკრძალული არ არის, ხოლო არა აქვს უფლება შიმშილის განცხადებისა...

დიაღ, ბიუროკრატია, ბიუროკრატიის სიტყვით, უძვირფასესი, უმშვენიერესი, უსაჭიროესი, უმაღლესი, უპირველესი, უღრმესი, უდიდებულესი, უმოწყალესი, უკეთესი და უზენაესი დაწესებულებაა, რომლისაც ხალხის გაბედნიერება უნდა...

მაგრამ ეჰ! ბიუროკრატიას რაღა ახალი გაცნობა უნდა? რა ჩემი „რეკომენდაცია" ესაჭიროება?..

* *

ბევრი ძველი ამბავია, რომელიც უნდა განვიმეოროთ, რაც შეიძლება ხშირად და ხშირად.

უფლების საგანი—მშვიდობიანობაა, ხოლო საშუალება ამ საგნის მისაღწევად არის ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა. ვიდრე უფლებას ძალმომრეობა და განსაცდელი მოელის უსამართლობისაგან (ეს კი იქნება, სანამ არსებობს ქვეყანა), უფლებას არ შეუძლია უბრძოლველად არსებობა. უფლების არსებობა ბრძოლაა, ბრძოლა ხალხთა, მთავრობისა, წოდებათა, კლასთა, კერძო ადამიანთა.

ყოველივე უფლება ქვეყანაზე მოპოვებულია ბრძოლით და მეცადინეობით, უფლება უნდა დაიჭირათ, უნდა წაართვათ იმათ, ვინც გეწინააღმდეგებიან, უფლება—ვისიც უნდა იყოს იგი, კერძო ადამიანის თუ მთელი ხალხის—მოითხოვს, რომ მუდამ მზად ვიყოთ მის დასაცველად. უფლება მარტო აზრი კი არ არის, არამედ ცოცხალი ძალაა. ამიტომ მართლ-მსაჯულობის ღმერთს ერთს ხელში რომ სასწორი უკავია, მეორე ხელში ამოღებული ხმალი აქვს, რომლითაც იცავს სამართალს. ხმალი უსასწოროდ ძალმომრეობაა, სასწორი უხმლოდ კი უძლურება უფლებისა. საჭიროა აუცილებლივ ერთიც და მეორეც და უფლებიანი წესწყობილება არის იქ, სადაც ძალა უდრის სამართალს და სამართალი—ძალას.

უფლება შეუწყვეტელი მუშაობაა, მუშაობა მთელი ხალხისა. ხალხის ცხოვრება, შემოქმედება, მუშაობა გამოიხატება უფლებაში ისე, როგორც ეკონომიურ წარმოებაში. ყოველს ადამიანს შეაქვს თავისი წვლილი ამ მუშაობაში, ვინც კი იძულებულია დაიცვას თავისი უფლება და ამით ხელს უწყობს უფლების განმტკიცებას დედამიწაზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა არ იცავს უფლებას, ყველა არ იბრძვის უფლებისათვის. ათასები დინჯად და შეურყევლად ატარებენ ცხოვრებას, მიდიან გაკაფულ, მშვიდობიანი გზით. მათ რომ უთხრათ: უფლება ბრძოლააო, ვერაფერს გაიგებენ, რადგან ამ მუქთახორებს არაფერი უნახავთ გარდა განცხრომისა, მოსვენებულ, უდარდელი ცხოვრებისა. ესენი მოგვაგონებენ იმ მემკვიდრეს, რომელმაც მუქთად მიიღო დიდძალი სიმდიდრე.

უფლება მოგვაგონებს საკუთრებას. მრავალნი მწარე ოფლს ღვრიან ქონების მოსაპოვებლად, ღამებს უძილოდ ატარებენ, არ იციან, რა არის მოსვენება; მრავალთათვის საკუთრება—ეს მათი სისხლი და ოფლია. ზოგიერთებისათვის კი საკუთრება—სხვების ნაოფლარი და ნაშრომი ლუკმაა, ესენი თვითონ არ მუშაობენ, არაფერს აკეთებენ, მხოლოდ სხვების შრომით და სწუხარებით ცხოვრობენ. პირველებისთვის საკუთრება მუდმივი შრომაა, მეცადინეობა, ტანჯვაა; მეორეებისათვის კი მოსვენება, მშვიდობიანობა, განცხრომა.

ამგვარადვე ერთნი იბრძვიან უფლებისათვის, ბრძოლით მოიპოვებენ უფლებას, მეორენი კი მუქთად სარგებლობენ სხვების მიერ მოპოვებული უფლებით. თუ ქურდობაა, ძალმომრეობა და ავაზაკობა სხვისი შრომით ცხოვრება, არა ნაკლები ქურდობა და უსამართლობაა სხვის მიერ მოპოვებულ უფლებით სარგებლობა. ვისაც უნდა ჭამა, უნდა იმუშაოს, ვისაც უნდა უფლება, უნდა იბრძოლოს მისთვის, იბრძოლოს უფლების მოსაპოვებლად.

ბრძოლა კი მუდმივ არის საჭირო, რადგან უფლება მუდმივი ბრძოლაა. არც ერთი მცირედი უფლება არ მოიპოვება უბრძოლველად. უფლება აღარ არსებობს, როცა აღარ ვიბრძვით მისთვის. ბრძოლა უფლებისათვის—ეს ჩვენი პირველი მოვალეობაა, და უფრო მეტი დამნაშავე ის კი არ არის, ვინც უფლებას არღვევს, სპობს, ფეხით სთელავს, არამედ ის, ვინც ხმას არ იღებს ამ უფლების აღსადგენად, ვინც არ ებრძვის უფლების მჩაგვრელებს, ვინც თავს არ გამოიდებს ფეხით გათელილ უფლების დასაცველად. ცხოვრების ნება არა აქვს იმას, ვისაც უფლება შელახულია, უარყოფილია და ვინც გულგრილად, მშვიდობიანად უცქერის თავის უფლების შელახვას. თავის უფლების დაცვა კი არა, ყოველივე უფლება ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის, არც ერთი უფლების დაჩაგვრა არ უნდა ავიტანოთ და ყოველთვის და ყოველგან უნდა ვიბრძოლოთ უფლებისათვის. ცხოვრება მარტო იქ არის, სადაც იბრძვიან უფლებისათვის, განვითარება იქ შეიძლება, სადაც არ ითმენენ უფლების შეურაცხყოფას, უფლება იქ არსებობს, სადაც ისჯება უფლების უარმყოფელი...

უფლება შრომით და ბრძოლით მოიპოვების ხალხის მიერ. მერე განა ეს სამწუხაროა? მუქთად მოპოვებულს რასმე აქვს ფასი? სწორედ იმიტომ, რომ ხალხს არ შეუძლიან მუქთად მოიპოვოს უფლება, რომ უფლებისათვის ხალხმა უნდა იბრძოლოს, იდაოს, იმეცადინოს, სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასია ხალხისათვის მისი უფლება; უფლება ხალხის შვილია, რომლისათვის იგი სიკვდილსაც კი არ მოერიდება. ძვირად უღირს ხალხს უფლება, ძნელად მოსაპოვებელია და ეს სიძნელე შეეფერება მის ღირსებას. ხალხმა უნდა მოიპოვოს უფლება, უნდა დაიცვას უფლება. უფლება ხალხის უძვირფასესი განძია, რომლისათვისაც იგი არავითარს მსხვერპლს არ დაიშურებს და რამდენად უფრო ძნელია უფლების მოპოვება, იმდენად კიდევ უფრო ძვირფასი და საყვარელია უფლება.

* *

უფლების დაცვა პირველი მოვალეობაა საკუთარის თავის წინაშე, უფლების დაცვა საკუთარის თავის დაცვაა. უფლების უარ-ყოფა თავის მოკვლაა, თავის მოკვლა ფიზიკური და ზნეობრივი, ზნეობრივი უპირველესად. უფლების დაცვით ადამიანი იცავს თავის ზნეობრივს არსებობას, თავის პიროვნებას, ურომლისოდ არ არის მისი ადამიანური არსებობა. ამიტომ ძველი რომაელები უფლება-მოკლებულს მონას ადარებდნენ პირუტყვს. ადამიანობას მხოლოდ უფლება შე-

მხურვალე სიტყვებით წინაღუდგა რამდენიმე ორატორი, და როგორც იქნა, ბოლოს კონგრესმა უკანვე დაიბრუნა იგი.

ასე დაბოლოვა თავისი მოქმედება ამ კონგრესმა. აქ უნებლიეთ მაგონდება კონგრესი საფრანგეთის სინდიკატებისა („საყოველთაო კონფედერაცია შრომისა“), მომხდარი შარშან სექტემბერში ქ. ბურჟში: იმ დროს, როცა ბურჟის კონგრესმა მიანდო კონფედერალურ კომიტეტს დაიწყოს მხნე აგიტაცია და მოამზადოს ნიადაგი, რათა მუშებმა არ უყურონ კანონმდებლობას, 1906 წლის პირველ მაისიდან შესწყვიტონ მუშაობა და თვითონ შემოიღონ რვა საათის სამუშაო დღე,—კელნის კონგრესი პირველ მაისის უბრალო დღესასწაულსაც რაღაც „სხვა მხრივ“ უყურებს. ამ დაპირდაპირების ახსნა მკითხველთათვის მეტად მიმაჩნია!.. გ. ქ.

ახალი ამბავი

◆ ამ თვის შუა რიცხვებში მოხდება ნამესტნიკის საბჭოს სხდომა. საბჭომ უნდა გადასწყვიტოს საკითხი **საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ კავკასიაში**. საბჭოს სხდომებს, წევრებს გარდა, დაესწრებიან პრესსის, საზოგადო დაწესებულებათა და იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან. („ნ. ო.“).

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, **ლიანდაგისა და სამმართველოს მოსამსახურეთ** ჯამაგირიდან გამოერიცხებათ უკანასკნელ გაფიცვის დროის ფული.

◆ 17 ივლისს, „ნ. ო.“-ს სიტყვით, მოხდება **საგანგებო კრება** თელავის მაზრის თავად-აზნაურობისა. 10 ივლისს-კი გორის მაზრის თავად-აზნაურობისა. კრებებმა უნდა გადასწყვიტონ, რას მოახმარონ ის ფული, რომელიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებისაგან მიეცათ.

◆ 1 ივლისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების საჩაიეში შემდეგი ამბავი მოხდა: „პატრიოტულ პარტიის“ წევრთაგან 10 მუშას საუზმის დროს საჩაიედან წაუღია ჩაი და გასაცივებლად იქვე ახლო დაუდგამს. ამ დროს ვიღაცას ჩაიდანში **საწამლავი ჩაუყრია.** მოწამლული მუშები რკინის გზის ლაზარეთში გაჰგზავნეს. რამდენიმე კაცის მორჩენა საეჭვოა.

◆ ქართლში, როგორც გაზეთები სწერენ, **აგრარულ ნიადაგზე მოუკლავთ** ორი მემამულე აზნაური ივ. უანელაშვილი და თავ. ა. ნ. ამილახვარი. ზოგგან ახლახლა დაიწყო გლეხთა მოძრაობა. სოფ. ერედვის მემამულეებს 70 ყაზახი რუსი დაუქირავებიათ. გლეხებმა თითქმის არსად შეუშვეს მიწის მზომელები ადგილების დასამიჯნავად.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **სომეხ-თათართა საქმის გამო** ტფილისში დაარსდა მთავარი ბიურო. სხდომაზე ბიურომ თავის თავმჯდომარედ აარჩია ექიმი ვაწაძე, ხოლო თავმჯდომარის თანაშემწედ ექიმი ვესელოვზოროვი, მდივნად ემინოვი და არაქელოვი. ბიურომ დაადგინა, კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში დააარსოს განყოფილებანი. თუ ვინიცობაა, გაზეთებში რაიმე შემცდარი ამბავი დაიბეჭდა, ბიურო თავის განყოფილებათა დახმარებით სიმართლეს აღადგენს.

◆ გუშინდელ **სათავად-აზნაურო სკოლის კრებაზე** თათბირი იყო ის პედაგოგიურ საბჭოს ავტონომიაზე. ავტონომიის მოწინააღმდეგე ორატორები ამტკიცებდნენ, რომ სკოლის ავტონომიის პროექტი მეტად აჩქარებულად არის შედგენილი და ამიტომ მისი პრაქტიკული განხორციელება ჯერ ხანად, სანამ ამ პროექტს განსაკუთრებული კომისია არ განიხილავს, შეუძლებელიაო. კრება გაგრძელდა ნაშუადღევის 4½ საათამდე და გადაიდო დღეისათვის, დილის 11 საათზე.

◆ გუშინ, 2 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში „ჯეჯილის“ რედაქციამ გადაიხადა პანაშვიდი თავის მუდმივ წევრის, ახლად გარდაცვალებულ ქნ. **სოფიო ციციშვილის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდს დაესწრო ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენცია და გარეშე პატივისმცემელნი.

◆ სიღნაღი. საეპარქიო საბჭოს სიღნაღის სამაზრო განყოფილების წევრმა ი. დ. ქიტიაშვილმა წევრობას თავი გაანება. ოფიციალურ ქაღალდში ბლაღოჩინის სახელობაზე ბ-ნი ქიტიაშვილი სწერს, რომ ხსენებულმა განყოფილებამ სამღვდელოების კრების დადგენილებით დაჰკარგა ყოველივე უფლებაო.

31 მაისის კრების დადგენილების ძალით ქიზიყის და მთლად სიღნაღის მაზრის ბლაღოჩინებმა, ბეგიაშვილისა და ღვთისავარიშვილის გარდა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში უარი განაცხადეს სასულიერო მთავრობის მიერ გამოგზავნილ კორესპონდენციების მიღებაზე. მხოლოდ ეს ორი ბლაღოჩინი იღებს კორესპონდენციას.

◆ ბათუმ-სამტრედიისა და ფოთს შუა **მუშაობა განახლდა** 28 ივნისიდან.

◆ გუშინ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ ადმინისტრაციას გაუგზავნა **ხალხში გასავრცელებლად** რამდენიმე ათასი ცალი ბროშურებისა. ამ ბროშურებში სხვა და სხვა სენთან საბრძოლველი საშუალებანი, აწერილი ადგილობრივ ენებზე.

◆ რკინის გზის მუშები და **მოსამსახურენი გაიფიცნენ** აგრეთვე ბაკურიანის რკინის გზის შტოზე. 28 ივნისიდან გაფიცვა შესწყდა და მატარებლების წესიერი მიმოსვლა განახლდა.

◆ 30 ივნისს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** სოფლის დაგირავებულ მამულების გასასყიდად. 25 მამულიდან გაიყიდა 6 მამული. დანარჩენ მამულებისათვის ვაჭრობა 14 ივლისს მოხდება. 14 ივლისს სულ უნდა გაიყიდოს 60 მამული. აქედან 19 სოფლისა, 13 ტფილისისა, ხოლო 28 კავკასიისა სხვა ქალაქებისა.

◆ როგორც გვწერდით, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ სამეურნეო თანხიდან გადასდო 58,000 მან. ბანკში თავად-აზნაურთა სავალდო გადასახადების გასასტუმრებლად. წელს ეს ფული ბანკმა უკვე მიიღო. ამის გამო საჯარო ვაჭრობა აღარ მოხდება.

◆ როგორც სადგურ გომიდან გვატყობინებენ, მე-185 ვერსტზე ვიღაცებს მოუკლავთ მებუტკე მიხეილ ფხაკაძე, ხოლო იმისი ცოლი დაუჭრიათ. ბოროტ-მოქმედთ წაუღიათ 185 მან.

◆ სადგურ აქსტაფაში ერთს ვაჭარს უნდა მიეღო რამდენიმე ბოჭკა შაქარი. როცა ვაგონებიდან ბოჭკები გადმოუღიათ და დაუცლიათ, შიგ შაქრის მაგივრად აღმოჩენილა თივა, ქვები, კირი, აგური და სხვა ამგვარი ნივთიერება.

◆ გორში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, შემდეგი მკვლელობა მოხდა 25 ივნისს. „ვაკზლის უბანში“ მცხოვრებნი ხომასურიძე და შატაკიშვილი, ორი დისწულის შვილები, ერთ სახლში მცხოვრებნი და ერთმანეთ შორის კეთილ განწყობილებაში მყოფნი, უბრალო ანგარიშისა გამო შელაპარაკდნენ. ხომასურიძემ აიღო ნამგალი და გაჯავრებული კარზე გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შატაკიშვილიც გავიდა სახლიდან და იქვე, რამდენიმე საჟენის მანძილზე, შეხვდნენ ერთმანეთს. პირველმა გაჰკრა მეორეს ნამგალი და დასჭრა შუბლსა და მუცელში. ექიმები და ხალხი დროზედ მიეშველნენ, მაგრამ ჭრილობა იმდენად მძიმე გამოდგა, რომ იმ დღესვე გარდაიცვალა ხომასურიძე. ხომასურიძეს დარჩა უპატრონოდ ცოლ-შვილი. მკვლელი მიიმალა.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 237.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ოზურგეთი, 2 ივლისი. საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დაიწყო 29 ივნისს, გათავდა 1 ივლის, დილის 10 საათზე.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

სკოლის საზოგადოების წევრთა კრების თავმჯდომარემ პარასკევს ნაპოლეონისებური coup d' état განიზრახა: ჩვენგან წარმოდგენილი განსახილველი საგნები გავათავეთ და ამიტომ ახლავე ავირჩიოთ კომიტეტის ორი წევრიო; რაც შეეხება სკოლის რეორგანიზაციის პროექტს, ეს ერთობ რთული საქმე არჩევნების შემდეგ იყოსო; რადგან შემდეგ გამოირკვა, რომ ბ. ბ. მაჩაბელსა და ცხვედაძეს ამ რთულ საქმის სრულიად გადაფუჩეჩება სწადდათ, თ. მაჩაბლის მოულოდნელ განცხადების აზრი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს—კომიტეტს შევავსებთ და მერე მასწავლებლებმა თავი ქვას ახალონო. სკოლის საბედნიეროდ, ვერ გასჭრა თავმჯდომარის ხერხმა, თუმცა ბევრი იძახა—ეს ჩემი უფლებაა, როგორც თავმჯდომარისა, და მე ეგრე მსურსო. საზოგადოებამ თავისი გაიტანა და თ. მაჩაბელიც იძულებული გარდა ჯერ სკოლის რეორგანიზაციაზე მიეცა ლაპარაკის ნება კრებისათვის.

კამათის დაწყებამდე ბატონმა ცხვედაძემ მეტად პატეტიური სიტყვა წარმოსთქვა; იგი მხურვალედ ამტკიცებდა, რომ კომიტეტის წევრი კარგის მტერი არ არის: მერწმუნეთ, ბატონებო, რომ თუ კარგ წინადადებას რასმე წარმოგვიდგენენ, ჩვენ არასოდეს წინააღმდეგი არ გიქნებითო. გვჯერა გულწრფელობა კომიტეტის უხუცეს წევრისა, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ კარგსა და ცუდს გარჩევა და დაფასება უნდა და ამ ნიჭს-კი, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ კომიტეტის წევრთა დიდ უმრავლესობაში. ბ. ცხვედაძემ ისიც სთქვა—ნურავის იფიქრებთ, ჩვენ მიდგომით ან მიკერძოებით ვექცეოდეთ ვისმე ან რასმეო. ეს ნათქვამი [illegible] არ დარჩენილა: შ. ნიტაძემ განუცხადა საზოგადოებას—კომიტეტის მიუდგომლობა იქიდანაც სჩანს, რომ მასწავლებლების პროექტის საპასუხოდ კომიტეტმა კონტრ-პროექტი შეადგინა და დღემდე არ შეუტყობინებია იგი არც სკოლის გამგისათვის, არც მასწავლებლებისათვის და არც პრესსისათვისო. თუ მარტო საქმის სიყვარული და სამართლიანობა იყო ხელმძღვანელი კომიტეტისა ამ საქმეში, რად მალავდნენ თავიანთ პროექტს, რატომ დროით არ გააცნეს დაინტერესებულ პირთ და პრესსას?

სანამ რეორგანიზაციის პროექტის განხილვას შეუდგებოდნენ, სკოლის გამგემ ყველა მასწავლებლების სახელით განაცხადა—თუ საპედაგოგო საბჭოს ავტონომია მიიღო საზოგადოებამ, ყველა მასწავლებლები სამსახურიდან გადამდგარებად ჩასთვლიან თავიანთ თავს, რომ საზოგადოებას სრული თავისუფლება ჰქონდეს ახალ, მისთვის უფრო სასურველ შტატის შედგენისათ. აზრი ამ განცხადებისა მარტივი და კეთილშობილურია; თავადი ვ. მაჩაბელი ამას ვერ ან არ მიხვდა და ამ განცხადებას ძალდატანება უწოდა!

კრებაზე დიდხანს ილაპარაკეს ამ განცხადების გამო და რატომ, ვერ მიმხვდარვართ. ილაპარაკა, სხვათა შორის, ბ. ი. რატიშვილმაც—შეატყობინა საზოგადოებას რამდენ კრებას დაესწრო და რამდენს არა, ისიც განაცხადა—თავის დღეში „პოლიტიკა სპარსეთისა“ არ ყოფილა ჩემი ხელმძღვანელიო და დაამთავრა იმით, რომ საზოგადოებას შეატყობინა—მიიღებთ პროექტს, თუ არ მიიღებთ, მე ყოველ შემთხვევაში ვტოვებ სასწავლებელს, რადგან ჩემს უსარგებლობაში დავრწმუნდიო. ამის წინააღმდეგი კრებაზე არაფერი თქმულა.

წაიკითხეს კომიტეტის კონტრ-პროექტი: ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩეს, ვიდრე სხვა დროს და როცა მოსახერხებელი იქნება, კარგად შემუშავებულ პროექტს ჩვენ თვითონ წარმოგიდგენთო. ბ. გოგებაშვილის თხოვნით წაიკითხეს მისი მოხსენებაც; მოხსენება დაწერილი ყოფილა, როგორც თვით ავტორის სიტყვებიდან სჩანს, ავადმყოფობის დროს; და, ალბად, ამიტომ მოხდა, რომ მასწავლებლების პროექტს ის მოახვია თავზე, რაც შიგ სრულიად არ არის, სახელდობრ ის, ვითომც მასწავლებლებს სურვილი იყოს კომიტეტი და საზოგადო კრება სრულიად მოსპოს და პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს სამოსწავლო ადმინისტრაციასთან. კვალიც-კი არ არის ასეთ აზრისა მასწავლებლების პროექტში და სხვა მხრივ ბ-ნ გოგებაშვილის პროექტი მაღლა დგას კომიტეტისაზე, რადგან მეტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აძლევს მასწავლებლებს. ერთი ახირებული აზრია ცნობილ პედაგოგის მოხსენებაში—ვითომ დაწინაურებულ სახელმწიფოებში ძალიან სცდილობდნენ წარმომადგენლობის ორ სართულიანობის (ზემო პალატა და ქვემო პალატა) შენახვას. დღეს მარტო გაზეთის მკითხველმაც კი იცის, რომ მოწინავე ნაწილი ევროპის საზოგადოებისა დიდი ხანია მოწადინებულია მოსპოს ეს ორსართულიანობა და წარმომადგენლობა ნამდვილი ხალხური წარმომადგენლობა გახადოს.

სკოლის გამგემ რეორგანიზაციის პროექტიდან ორის საკითხის გადაწყვეტა სთხოვა საზოგადოებას: 1. მოისპოს მოსამზადებელი ხასიათი სკოლისა და 2. დამოუკიდებლობა მიეცეს პედაგოგიურ საბჭოს სკოლის საპედაგოგო ნაწილში. ბევრს ეცადა თავმჯდომარე საქმის გადადებას, ბევრი ატრიალა „პრინციპიალური“ და „არსებითი“ განხილვა კითხვისა, საზოგადოება დაიტანჯა და ბოლოს როგორც იქნა, გადასწყდა პირველი საკითხი: მოისპოს მოსამზადებელი ხასიათი სათავად-აზნაურო სკოლისა და შეცვლილი პროგრამა უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ახალ საგანგებო კრებას. ეს გადაწყვეტილება ერთ ხმად იქნა მიღებული.

სოფიო ერეკლეს ასული ციციშვილი

(ნეკროლოგი)

ამ დღეებში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთი-სოფელს სოფიო ციციშვილი. ჩვენს უღაბნო ცხოვრებას გამოაკლდა კიდევ ერთი გულ-შემატკივარი, მოძმის სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი.

იგი დაიბადა გორის მაზრის სოფ. კახიჯვარში, ციციანთ ძველებურ ოჯახში, სადაც გაიგონებდით წმინდად შენახულ ქართულ ენას. ამისთანა ძველებურ ოჯახიდან გამოსული ქალი დაატრიალეს აღსაზრდელად ისევ ოჯახში, საოჯახო საქმეების შესასწავლებლად, რადგან რუსულ სკოლის გავლენისა ეშინოდათ. ცოტა რომ წამოიზარდა, იგი გაგზავნილ იქნა ქ. ქუთაისში „ქართულ წიგნის“ შესასწავლად თავის დეიდასთან, ეფროსინე კლდიაშვილის ოჯახში, სადაც თავს იყრიდა ხოლმე სხვა და სხვა საქმეების განსახილველად ქუთაისის ქართველი ახალ-გაზრდობა. ქუთაისიდან განსვენებული დაბრუნდა თავის ოჯახში უკვე მოზრდილი, განვითარებულ ადამიანად და შეუდგა ქართულ მწერლობის საფუძვლიანად შესწავლას და თავისთავად შეისწავლა რუსული ენაც. პირველ ხანებში მისი მოქმედება პროვინციის არ გასცილებია. ქართლში შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე და თავის მხურვალე მონაწილეობით და თაოსნობით ბევრს ქართულ დაწესებულებას ხელი შეუწყო მატერიალურად და ბევრს ახალგაზდას მისცა ღონისძიება სწავლის გაგრძელებისა მაღალ-სასწავლებელში.

მეტად კარგი განწყობილება ჰქონდა, განსვენებულს გლეხობასთან. ამ ტრიქონების დამწერს თავის დღეში არ დაავიწყდება მისი თავგანწირული სამსახური სოფელში ხოლერობას. ყველა თავ-ზარ დაცემული, ყველა შეშინებული გარბოდა სოფლიდან, ერიდებოდა ხოლერით ავადმყოფს, განსვენებული-კი არ უშინდებოდა არაფერს, შველოდა და ანუგეშებდა ავადმყოფს. ეს თავგანწირული მისი მოქმედება ქართულმა და რუსულმა პრესამ აღნიშნა კიდეც.

სოფიო ციციშვილმა თავისი მოქმედება ბოლოს ტფილისში გადმოიტანა და ყველა დაწესებულობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა: ემსახურებოდა დრამატიულ საზოგადოებას, მეტად მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახალხო თეატრში, სადაც საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლებოდა, მოღვაწეობდა ქართულ პრესაში, მუშაობდა გ. წერეთლის დროს „კვალის“ რედაქციაში, მუშაობდა „ივერია“-ში, ხოლო უკანასკნელად—საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილში“, სადაც დაბეჭდა მრავალი ნათარგმნი და ორიგინალი თხუზულება, უფრო, რასაკვირველია, საყმაწვილო. მან გადმოსთარგმნა: „გულადი“ უიდისა, „ბუს თავ-გადასავალი“, „შობის ხე ტყეში“, „პატარა დედოფალი“. „ყვავილების გვირგვინი“, „მოსწავლეთა შუამდგომლობა“ „პატარა წინამძღოლი“ და მრავალი სხვა.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, პატიოსანო და მშრომელო ადამიანო! **ალ. ნათაძე.**

რუსეთის ქრონიკა

გლეხთა ორგანიზაცია. მოსკოვის გუბერნიაში შესდგა გლეხთა ორგანიზაცია. ეხლა ეს ორგანიზაცია შესამჩნევად ძლიერდება და ამ ჟამად პოლტავის, ხარკოვის და კურსკის გუბერნიებშიაც თურმე გადადის. („რ. ვ.“).

ინტელიგენტთა ორგანიზაცია. კიევში სხვა და სხვა ხელობის ინტელიგენტთაგან შესდგა ერთი საზოგადო ორგანიზაცია, რომელშიაც 3000 კაცი იღებს მონაწილეობას. პირველ კრებაზე, 300 კაცის თანადასწრებით, შეუმუშავებიათ პლატფორმა (წესრიგი). ამის განსახილველად და მისაღებად გუბერნატორის განკარგულებით მოწვეული იქმნა საზოგადო კრება სახალხო სახლში, სადაც გამოცხადდა 1000 კაცი. მაგრამ კრება ვეღარ შესდგა დამსწრეთა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. ორგანიზაციაში მო-

---

ადგენს და იმდენად მაღლა დგას ადამიანი, რამდენად მეტი უფლება აქვს. ბრძოლა უფლებისათვის არის ბრძოლა ადამიანობის დასაცველად, ბრძოლა ადამიანობის გასაფართოებლად. და განა შეიძლება ამაზე უფრო წმინდა ბრძოლა? ეს ხომ ბრძოლაა კულტურისათვის, განვითარებისათვის?

მაგრამ ბრძოლა უფლებისათვის არის მოვალეობა საზოგადოების, ერის წინაშე. ვინც იცავს თავის უფლებას, ის იცავს არა მარტო საკუთარ უფლებას, არამედ იცავს მთელ საზოგადოების უფლებას. უფლება არსებობს იმდენად და იმიტომ კი არა, რომ ის ქაღალდზე, კანონში სწერია; უფლება არსებობს იმდენად, რამდენად იგი ნამდვილად განხორციელებულია ცხოვრებაში. მისი განხორციელება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცავენ და იბრძვიან მისთვის კერძო ადამიანები. უფლება კვდება, როდესაც მისი დარღვევა ადვილია, კვდება საზოგადოდ და არა მარტო ამა თუ იმ პირისათვის. უფლება არის მთელი, ერთეული დაწესებულება, რომელიც ცხოვრობს ერთის ცხოვრებით. ვინც არ იცავს უფლებას, იგი არ იცავს თავის ადამიანობას, არ იცავს საზოგადოების ინტერესებსაც, ძირს უთხრის საზოგადოების უფლებასაც. თავისუფლების უარ-მყოფელი მარტო თავის მკვლელი არ არის, იგი საშინელი მტერია საზოგადოების.

ყოველი უსამართლობა, ძალმომრეობა, უსინიდისობა, შეურაცხყოფა, გაუპატიურება, გაძარცვა, რომლის მაგალითებს ათასობით ვხედავთ, თუ უყურადღებოდ იქმნა ჩვენგან დატოვებული, უნდა გვახსოვდეს კარგად, რომ როცა უსამართლოდ მოგვეპყრნენ და პასუხს არ გავცემთ... შეურაცხყოფა მოგვაყენეს და [illegible], ჩვენ ამით უპატიოსნოდ მოვიქცევით, როგორც მოქალაქენი, როგორც წევრნი საზოგადოებისა: ჩვენ არ დავიცავით ეს უფლება, ხმა არ გავეცით მის მხაგვრელებს, არ შევასრულეთ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ბრძოლა უფლების დასაცველად—ბრძოლაა ადამიანობის დასაცველად. ბრძოლა უფლებისათვის უდიდესი მოვალეობაა ყოველი მოქალაქისა და მამულიშვილისა...

* *

ხალხის ნამდვილ სიცოცხლეს შეადგენს ბრძოლა უფლებისათვის და ისტორიაში არაფერია ისე საინტერესო, როგორც ის დრო, როცა ხალხი აღმდგარა უფლების დასაცველად, უფლების მოსაპოვებლად. როგორც კერძო ადამიანის ცხოვრებაში, ისე მთელი ხალხის ცხოვრებაში უპირველესი საქმეა ცხოვრება; იმდენად მაღლა დგას ხალხი, რამდენად მეტი უფლება აქვს და უფლება-მოკლებული ხალხი არც ცხოვრობს ნამდვილად. მონა-ადამიანი და მონა-ხალხი ორივე ერთნაირად დაცემულია, ორივე ერთნაირად გაპარტახებულია.

ისტორიაში იმ ხალხების ამბავია ჩაწერილი, რომლებსაც უფლება უყვარდათ და უფლებისათვის იბრძოდნენ და იმდენად უფრო გრძლად არის მოთხრობილი მათი ამბავი, რამდენად უფრო მედგარი და თავგამოდებული იყო მათი ბრძოლა.

კაცობრიობის ისტორია არის ისტორია ბრძოლისა უფლებისათვის. მე მაგონდება განსაკუთრებით ორი მომენტი ისტორიისა: ძველი რეჟიმის დასხვრევა საფრანგეთში და ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ფედერაციის დაარსება—მეთვრამეტე საუკუნის დამლევს. რაც ამბავი იყო საფრანგეთში, ამის მსგავსი მეორე არაფერი ყოფილა. წარმოუდგენელი მეტი ერთსულოვანება და თავგანწირულობა, როგორც გამოიჩინა საფრანგეთის ხალხმა უფლების მოპოვებაში. მთელი ხალხი ერთ ადამიანსავით ფეხზე დადგა და განრისხებული ევროპის მთავრობანი ვერაფერს უხდებოდნენ ერთის მიზნის და ძლიერის აზრით გამსჭვალულ ხალხს. რიცხვით მცირე საფრანგეთის ხალხი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მრავალრიცხოვანი ევროპა, იმიტომ, რომ საფრანგეთის ხალხი იბრძოდა უფლებისათვის, მისი მოწინააღმდეგენი კი ებრძოდნენ ამ უფლებას; საფრანგეთის ხალხს ჰქონდა ერთი სული, ერთი შეგნება, ერთი მისწრაფება სამართლისაკენ, ევროპის სახელმწიფოები კი მოკლებულნი იყვნენ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც და დამარცხდნენ უფლებასთან შეტაკების დროს...

არა ნაკლები ერთსულოვნება ჰქონდათ ამერიკელებს, როდესაც მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას.

მღვდლები ხომ საზოგადოდ ჩამორჩენილი ხალხია, ახალს აზრს, ცვლილებებს, თავისუფალ ცხოვრებას ებრძვიან, მაგრამ ამერიკაში მღვდლებმაც კი დაიწყეს ინგლისის წინააღმდეგ ქადაგება და ისე ეკლესიაში ფეხს არ შესდგამდნენ, რომ ბოროტად არ მოეხსენებიათ ინგლისის მთავრობა, და მოიწვევდნენ ამერიკელებს ინგლისელთაგან განსათავისუფლებლად. გაპარტახდით, სანამ არ დავუმტკიცებთ მტარვალს, რომ არ შეიძლება ადამიანების დამონებაო“!...

* *

თავი უნდა დავანებო ამ [illegible], ამ საინტერესო ისტორიას და დავუბრუნდე ჩვენი ცხოვრების ამბებს.

რუსეთში ყველაფერი ძველ წესზეა. აგერ ერთი წელიწადია, რაც ტკბილი სიტყვები გვესმის; ამ ხნის განმავლობაში ბევრს რასმე დაგვპირდნენ, მაგრამ ბიუროკრატია სრულებით არ ფიქრობს დაპირების შესრულებას, რისიმე გაკეთებას, შეცვლას. პირიქით ომი გაგრძელდება, სანამ რუსის ძლევამოსილ ჯარის მიერ განადგურებული არ იქნება იაპონია. ამის გაგრძელებას თხოულობენ მანჯურიაში მყოფი რუსის სარდლები...

რომ ბიუროკრატიული წესწყობილება არ იცვლება და არც ფიქრობს თავის ნებით შეიცვალოს, ამის დასამტკიცებლად ერთს პატარა ამბავს მოვიყვან რუსულ გაზეთებიდან.

ქ. როსლავლში სახალხო სკოლის გამოცდებს დაესწრო ინსპექტორი. ათი წლის მოსწავლემ აიღო ხელში წიგნი და წაიკითხა: „ალექსანდრე მეორემ მოგვანიჭა სწრაფი, მართალი, მოწყალე და ყველასათვის თანასწორი სასამართლო“.—„რაო, რაო? შეაწყვეტინა ბავშს ინსპექტორმა: ეს ხომ ამბოხებაა... პროპაგანდაა. მე მანამდის ჩვენი სასამართლო არ ვარგებულა“.—„ეს ბავში ბატონის შვილია, აზნაურია, კანონიერებული და ამიტომ“... აუხსნის მასწავლებელი. — „რაო? კიდევ უარესად უყვირის ინსპექტორი: აზნაური, ბატონიო! თქვენ ასეთი ლაპარაკით გინდათ ხალხი ააჯანყოთ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ? გესმით, ეს ხომ რევოლუციაა?... მერე რატომ ასწავლით ისტორიას ალექსანდრე მეორეზე? ისტორია ძალიან ფრთხილად უნდა ასწავლოთ და ყველასთვის უნდა დაიწყოთ ალექსანდრე მესამის მეფობიდან, ეს ხანა უფრო სახელოვანი და საინტერესოა“.

ასე ფიქრობს არა მარტო ინსპექტორი და ბიუროკრატია რამე ცვლილებას მოახდენს?..

* *

როგორიღაა ჩვენი სკოლა, რა ხდება ჩვენს სკოლაში? მაგრამ გვაქვს-კი ჩვენი სკოლა?

რასაკვირველია, არა! ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხს სკოლას არავინ მიანიჭებს, თუ აქვს ორიოდე სკოლა, ეს უფრო სახელოთაა ჩვენი. ამგვარ ქართულ სკოლად ითვლება, სხვათა შორის, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი.

ძალიან გრძელი და საინტერესო შეიქნა წლევანდელი კრება ამ სკოლის „საზოგადოებისა“.

მე, ალბად, შემთხვევა მექნება, კიდევ დავუბრუნდე ამ კრებას, ხოლო ახლა მინდა მივაქციო ყურადღება ერთს მეტად ახირებულს გარემოებას.

კრებაა ქართველ პედაგოგებისა, ქართულ სკოლაში, ქართულ სკოლის მოწყობის შესახებ და ერთი სიტყვა არ გესმისთ ქართულად! ყველანი თითქოს გაფიცულან, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი უცხო ენაზე ლაპარაკობენ. პირდაპირ სასაცილოა: ანგარიში ქართულადაა დაბეჭდილი, ორატორები უთარგმნიან კრებას ქართულ ანგარიშს და ისე ეკამათებიან ერთმანეთს. კრება და მისი ორატორები იმდენ თავხედობამდისაც-კი მივიდნენ, რომ როდესაც ერთმა მოლაპარაკემ ქართულად დაიწყო სიტყვა, აქეთ-იქიდან შეჰყვირეს: რუსულად, რუსულად!

განა ასეთს მახინჯს საზოგადოებას უფლება აქვს, ითხოვოს სამშობლო ენის თავისუფლება, ითხოვოს მაშინ, როდესაც საკუთარის ხელით ახრჩობს, საკუთარის ფეხით სთელავს ამ ენას?..

სიტყვა

ნაწილეთა შორის ბევრი ბუხჰალტერი, კანტორის მოხელე, მასწავლებელი და სხვა ურევია. („ნ.“).

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. ბატონი W ამ წერილში სხვათა შორის, მეხება მეც და მაბრალებს, ვითომც მე უშვერის ლანძღვა-გინებით მოვმეხსენებიოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლები და კერძოდ ბ-ნ კორხანიდისათვის, რომელიც კრებაზედ არ იყო, დამერქვას ჯაშუში, სამოსწავლო მთავრობის აგენტი. რომ დუმბაძეს არ შერცხვა საჯაროდ გამოცხადებით სიტყვა ჯაშუში არ მიხმარიაო, რამაც ვითომდა მეტად აღელვა ისედაც ნერვებ აშლილი საზოგადოება და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ კრების გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნაო. ყველა ეს დაბრალება სრულიად მოკლებულია სიმართლეს. საქმე ასე გახლდათ: მე მასწავლებელი კი არ გავლანძღე, არამედ ანგარიშის მიხედვით ზოგიერთ მათგანს დაუწუნე მოღვაწეობა, მაგალითად, ინსპექტორ ბ-ნ ჩიტაძეზე ვთქვი, რომ იმას ამ წელს ეჭირა ორი თანამდებობა—ინსპექტორის და შტატის მასწავლებლისა, ჰქონდა 24 გაკვეთილი კვირაში და ამის გამო მოკლებული იყო შეძლებას ინსპექტორის თანამდებობა რიგიანად და სინიდისიერად შეესრულებინა, თუმცა ჯამაგირს იღებდა 5000 მანეთს და ამასთან სადგომი განათებით, გათბობით და მოსამსახურით უფასო ჰქონდა სკოლის შენობაში. ამასთანავე ნაკლულევანება აღვნიშნე ანგარიშის მიხედვით ზოგიერთა მასწავლებლების შესახებ. შემდეგ საზოგადოების ყურადღება მივაქციე იმ გარემოებას, რომ უფროსს მოსამზადებელ განყოფილებაში და პირველ პროგიმნაზიულ კლასში რუსულ ენას ასწავლის ბატონი კორხანიდი, რომელმაც ქართული ენა სრულიად არ იცის და იძულებულია მუნჯურის მეთოდით ასწავლოს რუსული, რაიცა არა ერთხელ იყო აღნიშნული ქართულ პრესაში. ამას დავუმატე ისა, რომ ბატონმა კორხანიდიმ ბერძნულ სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო ცნობილ ვოსტორგოვის მფარველობით, მონაწილეობით და დახმარებით შემოიტანა ქართულ სკოლებშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შიგა და შიგ სიტყვები თარგმნა ქართულად და ისიც უკანონოდ, როგორც ქართულ პრესაში იყო აღნიშნული. ამის გამო ბატონ კორხანიდის მე ვუწოდე აგენტი ანუ იარაღი დეკანოზ ვოსტორგოვისა. სიტყვა „ჯაშუში“ მე არ მიხმარია კორხანიდის შესახებ, ეს ტერმინი იხმარა მის შასახებ საზოგადო კრებაზედ ორმა სხვა პირმა. ჩემი სიტყვა ბ-ნ კორხანიდის შესახებ იმით დავასრულე, რომ მაგისთანა პირს ადგილი არ უნდა მისცემოდა ქართულ სკოლაში მეთქი. ამ ფაქტის დასურათებამ გამოიწვია საზოგადოებაში დიდი დრტვინვა და ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომლის ინსპექტორობის დროს გამწესებული იყო კორხანიდი, ხმა აღიმაღლა და თავგამოდებით იცავდა კორხანიდის, როგორც „კარგს“ მასწავლებელს. ბ-ნმა თაყაიშვილმა დაუმატა: „ჩვენი საქმე არ არის ვიძიოთ ისა, ვისთან აქვს კავშირი კორხანიდის სკოლის გარედ“. ამას ბატონმა რატიშვილმა დასძინა, რომ სათავად-აზნაურო სკოლის ზოგიერთი მასწავლებლები ესარჩლებოდნენ ბ-ნ კორხანიდისაო. ბატონ ი. გ. რატიშვილის განცხადებამ საზოგადოების დრტვინვა უარესად გაამწვავა: ამ დროს სამარის სიჩუმე ჩამოვარდა სკოლის მოსწავლეთა შორის და არც ერთს მათგანს კრინტი არ დაუძრავს. ეს მოვლენა ბევრმა გაჰკიცა. მაგალითად: თავ. ვლ. ს. მიქელაძემ, მ. ვ. მაჩაბელმა, პ. სურგულაძემ, თავ. ბარათაშვილმა და სხვებმა. საზოგადოებამ დაავალა კომიტეტს, რომ ამ შეუსაბამო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. ამით გათავდა პირველი კრება. მეორე კრებაზე, როდესაც ოქმი წაკითხულ იქმნა, თავ. კ. ხერხეულიძემ მოითხოვა, რომ ოქმში შეტანილი ყოფილიყო სიტყვა „ჯაშუში“, ვითომც ჩემ მიერ ნახმარი კორხანიდის შესახებ. მე ვსთხოვე თავმჯდომარეს, რომ ამ ოქმის შესახებ სიტყვა მოეცა ჩემთვის, რადგანაც ოქმში ჩემი სიტყვები გადასხვაფერებულად იყო შეტანილი, მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვის ნება არ მომცა საგანთა სიმრავლის გამო, და ოქმი შეუსწორებელი დარჩა. ამის მოწმენი არიან, სხვათა შორის, თავადი ა. ზ. ჩოლოყაშვილი და ნაფიცი ვექილი ბ-ნი დემიდოვი, რომელნიც ჩემ გვერდით ისხდნენ.

მესამე კრებისათვის მე ქაღალდზე დავწერე ჩემი ნათქვამი სისწორით და მივართვი თავმჯდომარეს ოქმში შესატანად, ამ დროს კრებაზე იყო ბატონი კორხანიდიც, რომელიც გამოეწვიათ ზოგიერთ მის ამხანაგებს, სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებს. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ქაღალდს ვაძლევდი თავმჯდომარეს, ბატონმა ჩიტაძემ, სკოლის ინსპექტორმა, მომმართა მე უშვერის ლანძღვა-გინებით და ჩემსკენ გამოექანა, ამავე დროს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა გოგიტიძემ კიდევ უფრო ლანძღვა-გინებით და მუშტის მოღერებით გამოიწია ჩემსკენ, მაგრამ გაკავებულ იქმნა მახლობელ პირებისაგან. ამ ქცევამ ჩიტაძისა და გოგიტიძისამ საშინელი მღელვარება გამოიწვიეს საზოგადოებაში და კრება დახურულ იქმნა. როგორც მკითხველი ხედავს, მე პრინციპიალურ საგანს ვარჩევდი და სხვა და სხვა პირს შევეხე იმიტომ, რომ საგანთან მათ პირდაპირი კავშირი ჰქონდათ. ამ პირებმა მე დიდი შეურაცხება მომაყენეს და მათ ყველა კეთილ სინდისიერი კაცი მძიმე დამნაშავედ ჩასთვლის. თქვენი თანამშრომლის სიტყვით-კი, ბატონო რედაქტორო, დამნაშავე მე გამოვდივარ სიმართლეც ასეთი უნდა!..

დიმიტრი მოსეს ძე **დუმბაძე**

—

შენიშვნა. არ შეგვიძლია რამდენიმე შენიშვნა არ გავუკეთოთ ბ. დუმბაძის წერილს, რადგან წერილში მოყვანილი ამბები ყალბია.

1. ბ. დუმბაძეც-კი ვერ იტყვის იმის უარს, რომ ამ წლის განმავლობაში ყველგან, სადაც-კი მოხვდებოდა, სკოლის მასწავლებლებს შეურაცხმყოფელის სიტყვებით იხსენიებდა; ასევე მოიქცა დუმბაძე იმ სხდომაზედაც, რომელზედაც ინციდენტი მოხდა. თვით დღევანდელ მის წერილიდან სჩანს დუმბაძის დამოკიდებულება სკოლის მასწავლებლებთან: ზოგიერთ მასწავლებელს „დავუწუნე მოღვაწეობა, მაგალ., ინსპექტორსო—იმას ამ წელს ორი თანამდებობა ეჭირა: ინსპექტორის და შტატის მასწავლებლისა, კვირაში 24 გაკვეთილი ჰქონდა და რიგიანად და სინიდისიერად ვერც ერთ თანამდებობას ვერ ასრულებდაო, ამ სიტყვებიდან მკითხველი მხოლოდ იმას დაასკვნის, რომ შ. ჩიტაძე დახარბდა ფულს და იმოდენა საქმე იკისრა, რომ სინიდისიერად ვერას გზით ვერ ასრულებდა. ბ. დუმბაძემ-კი ძალიან კარგად იცის, რომ შ. ჩიტაძე იძულებული იყო ეკისრა ამოდენა გაკვეთილები, რადგან სამოსწავლო მთავრობამ არ დაუმტკიცა კომიტეტს ძლივს-ძლივობით ნაშოვნი მასწავლებელი რუსულ ენისა. ვიმეორებთ ბ-ნმა დუმბაძემ კარგად იცის ეს და მაინც თავისას არ იშლის.

2. სიტყვა „ჯაშუში“ არ მითქვამსო, სწერს ბ-ნი დუმბაძე. დამსწრე საზოგადოების დიდი უმრავლესობა კი წინააღმდეგს ამტკიცებს; წინააღმდეგსვე ამტკიცებს ოქმის შედგენის ისტორია: სანამ ოქმს წაიკითხავდნენ დასამტკიცებლად, ბ. ცხვედაძემ საქმის მწარმოებელს ამოშლევინა ოქმიდან სიტყვა „ჯაშუში“, რადგან შეეტყო, რომ კორხანიდი მოდიოდა კრებაზე. ეს სიტყვა ამოშლილი ოქმი რომ წაიკითხეს, თ. ხერხეულიძემ მოითხოვა შესწორება და ეს სიტყვა ისევ შეიტანეს. ბ. დუმბაძე იქ ბრძანდებოდა და სიტყვა არ დაუძრავს. ახლა გვეუბნება—თავმჯდომარემ არ მალაპარაკაო. უთვალად დაუჯერებელი ამბავია: ოქმის შესწორების უფლება ყველას აქვს და ბ. დუმბაძეს რომ მართლა სურვებოდა ეს შესწორება, ასე ადვილად არ დასთმობდა ამ უფლებას, მერე ისეთ თავმჯდომარესთან, როგორიც ბ. უთნელიშვილი იყო.

3. მესამე კრებისათვის ქაღალდზე დავსწერე სისწორით ჩემი ნათქვამი და მივართვი თავმჯდომარეს ოქმში შესატანადო, გვეუბნება ბ-ნი დუმბაძე. რამდენადაც ვიცით, უკვე შესწორებულ და დამტკიცებულ ოქმის შესწორება არსად არ არის მიღებული ეს ერთი. მეორეც ის არის, ბ-ნ დუმბაძემ-კი არ „მიართვა“ თავმჯდომარეს დაწერილი ქაღალდი, თვითონ თავმჯდომარე წამოხტა ადგილიდან, მიირბინა ბ-ნ დუმბაძესთან, რომელიც მეორე რიგში იჯდა და მოწიწებით აშორებდა ქაღალდის ჩამორთმევას, სწორედ ბ-ნ ცხვედაძის ამ უტაქტობამ აღელვა მასწავლებლები და კრების უმრავლესობა. ბ. ჩიტაძემ საყვედური უთხრა ცხარე კილოთი ბ. ცხვედაძეს და არა დუმბაძეს; ჩიტაძეს სრულიად არ მიუწევია დუმბაძისაკენ; ეს სულ მოგონებული ამბავია თავიდან ბოლომდე.

W.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 ივლისი

სიტიაზა, 1 ივლისი. გაზეთებში მოთავსებული ცნობები ჩვენთვის ზავის საჭიროების შესახებ, ვითომდა ჯარის სულიერად დასუსტების გამო, ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ჯარში სულიერი მდგომარეობა ძლიერია. ყველა, უკანასკნელ სალდათამდე დარწმუნებულია თავის ძალაში

გოძიადანი, 1 ივლისი. იაპონელების მატარებლები ახლა ჩანტუნის სადგურამდე დადიან. ჩანტუფუს ჩრდილოეთით გზას, რომელიც გააფუჭა პოლკოვნიკ კოლომოვის ბატალიონმა, ხელახლა აკეთებენ იაპონელები. ჩანტუფუს ჩრდილოეთით ხიდი გაასწორეს იაპონელებმა ასე, რომ ის გამოსადეგია მატარებლებისთვის.

სიტიაზა, 27 ივნისი. როგორც ხმები დადის, უკანასკნელ დროს იაპონელებს გაძლიერებული მაშველები მოსდით შახეცზიტუვანგოუ-ცაოპინკარ-პანჩენცზის მიდამოში. ჩვენს მარცხენა ფრთაზე ხუნხუზები ხელ-ახლა იჩენენ ბეჯით მოქმედებას. 26 ივნისს სოფ. პინგზითან კაზაკებმა გაანადგურეს ბრბო, დაიჭირეს 9 ხუნხუზი და წაართვეს 6 ვინტოვკა.

ვლადივასტოკი, 1 ივლისი. მიმდინარე თვეს იაპონიის ნაღმოსნები ოთხჯერ მოვიდნენ პუტიატინის ნაპირებთან, როგორც ეტყობა, დასაზვერავად. მათი ბაზა გენზანია, საცა გემები ცავენ ჯარების გადმოყვანას.

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. ტოკიოს ცნობებით. ჟურნალ-გაზეთებს უკვირთ, როგორ დასთანხმდა რუსეთი ჩინეთის წარმომადგენლების დასწრებაზე ზავზე მოლაპარაკების დროს, ის აზრი ისმის, რომ რუსეთმა უარი უნდა განაცხადოს გირინის პროვინციაზე, თუ იგი გულ წრფელად არის მოწადინებული ზავის ჩამოგდებას. ამერიკის წრეებში დიდი ყურადღება მიაქციეს როზენის უბრალოდ მიღებას რუზველტის მიერ არა ვაშინგტონში, არამედ ოისტერბეიში. ვიტტეს დანიშვნა ზავის მომხრე პარტიის გამარჯვებად ითვლება.

დონის როსტოვი. ბირჟის საზოგადოებამ ორი წარმომადგენელი აირჩია მოსკოვში მრეწველთა სიეზდზე დასასწრებლად.

ვილნა. კორვიკომილოვსკის ნება დართეს გამოსცეს გაზეთი პოლონურ ენაზე.

ბუხარესტი. (რუმინიის სააგენტო). ბერლინისა და ვენის ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია რუმინიის შეურაცხმყოფი ცნობა, ვითომც „პატემკინ“-ის მატროსები სამსახურში მიეღოთ რუმინიის არმიაში. შეგვიძლიან კატეგორიულად დავარღვიოთ ეს იუდელური ცნობა, რომელიც გამოგონების მეტი არაფერია.

კალიში. „გაზეთ კალიში“-ს ცნობის შესახებ კალიშის სადგურზე მიმოსვლის ნაწილში პოლონურ ენის შემოღებაზე სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რუსულ ენის მაგივრად პოლონურის შემოღების ნება არ მოსულა. ამნაირი შეცვლა უკანონო იქმნებოდა.

ნიჟნინოვგოროდი. ბირჟის საზოგადოების საზოგადო კრებამ მოსკოვში მრეწველთა სიეზდზე დასასწრებლად აირჩიეს შიპოვი, ვოლგოვი, დელკოვი, კანდიდატებად იარგომსკი, პოლიაკი და სოლინი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 ივლისი

გუნჯულინი. არმიაში ცვლილება არ არის.—კორეიდან მოსულ მოხსენებით, იაპონელების დიდი ძალა მიიწევს შომენისაკენ. გუნჯულინში სიმშვიდეა. აუტანელი სიცხე იწვევს ბევრს კუჭის ავადმყოფობას.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით მოასვენეს შუვალოვის გვამი. შეუმცირდა ყველა დასჯილს სარწმუნოებისთვის სასჯელი, ზოგს მთელად, ზოგს კიდევ სხვა და სხვა ხარისხით.

ბაქო, 1 ივლისი. მერკურის კუხაზე დაეცნენ პეტერბურგის საერთაშორისო ამერიკულ ბანკის არტელშჩიკს. წაართვეს პორტფელი და 5100 მან. ფული. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

კიშინევი, 1 ივლისი. გამოვიდა პირველი ნომერი „ბესარაბეცი“-სა ნაციონალისტ მასალსკის რედაქტორობით.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

განცხადებანი

კავკასიის სააქციზო გამგეობის 1 ოლქის

კანცელარია

პირველ კათათვიდან გადავიდა ვერაზე 1 მომრიგებელ მოსამართლის ახლო, არაგვის ქუჩაზე, სახლი № 10. (1—1)

სოფელ გომში

(ოზურგეთ. მაზრა) გაიხსნა სასარგებლო

გოგირდის თბილი აბანო,

რომელიც სავსებით არჩენს ქარებისა, ძვლების და თავის ტკივილებისაგან. საბანოში ქვის ვანნები, ოთახებით. არის აგრეთვე საავარაკო სახლები, რესტორანი ყოველ გვარის მოწყობილობა.

(2—1) ვარდენ დუმბაძე.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1905 წლის 5 ივლისისთვის დანიშნულია **კონკურსი** (იმის ნაცვლად, რომელიც არ შესდგა 28 ივნისს) ავლაბრისა და კუკიის საძოვარ ადგილების იჯარით გასაცემად.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში, 10-დან $1^1/_2$ საათამდე. (3—6—1)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქოევისა. (30—6)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—10)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—5)

ტფილისის აკეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—15)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

„**ცოდნა**“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ПОНДНА“.**

(წდ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

რკინის გზის ლიანდაგზე, სადგურ „სერნიე ვოდი“-ს მახლობლად **ოკრიბაში** გავხსენით

„**ძველი საწირის გოგირდის აბანოები**“,

რომლის მარგებლობა სხვა და სხვა ავადმყოფობისათვის, განსაკუთრებით ქარებისა, თავის ტკივილისა და მისთანებისა, ექიმებისაგან რამდენჯერმე არის შემოწმებული. როგორც აბანოები, ისე სადგომი სახლები, ნომრები ხელახლა არის შეკეთებული სუფთათ და ლამაზათ. ფასი ნომრებისა 30 კ.—60 კ., 1 მან. და 1—20 კ. აბანოების აუზი კი ღირს 40—50 კაპ. და შიგ ჩასვლა ოთხ კაცსაც შეუძლია ამავე ფასში. ეზო და აუზები განათებულია. არის სავაჭრო დუქანი, სადაც ყოველნაირი სასმელ-საჭმელი იშოვება ზომიერ ფასებში. მომსვლელებისათვის არის ცალკე სამზარეულო უფასო შეშით.

(5—3) აბანოს პატრონი **ლევანტი ქარქაშაძე**

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და კანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების, საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია. **ოქროს მედალი, ლონდონში 1903 წელს.**

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (მც. 14—1)

ახალი საშუალება

გორო-ნავთალინი

სრულიად სპობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს იმის ამოსვლას. ამასთან თმას ბუნებრივი ფერი ეძლევა.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილების მიერ და ცნობილია ისეთ ნივთიერებად, რომელიც ჯანმრთელობას არა ვნებს. საწყობი სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობისა, ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში რუსეთის აფთიქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (4—254—3)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალის, კაცის და ბავშვისა,

აგრეთვე **მაწრაფლ-მაღალები და სანდლიები.** ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„**ლეოპოლდ ნეიშელერ**“-ის

საქონლისა აწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346 იყიდება მრავლად

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა (60—6.—54)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ ЗИНГЕРЪ

Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. фин.

THE SINGER MANFG CO. TRADE MARK

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები **ზინგერის ამხანაგობისა**

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიცნობა [illegible] რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! იყიდება მაშინები შეიძლება ნისიად, და ფული ნაწილ-ნაწილ შეიტანება, კვირაში 1 მანეთი. (25—12).